ლაშა თვარაძე

კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სამართლის სკოლა

II კურსი

დელიქტური ვალდებულების ინსტიტუტი კერძო სამართალში

ცალკეული პრობლემური საკითხების სამართლებრივი ანალიზი

კანონისმიერი და სახელშეკრულებო სამართალი

თბილისი 2013

სარჩევი

შესავალი 3

დელიქტური ვალდებულების ცნება და არსი 4

დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტის მარეგულირებელი ხარვეზული ნორმები 7

- მოქმედებითა და უმოქმედობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 7
- უკიდურესი აუცილებლობა 8
- ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 11

დასკვნა 13

გამოყენებული ლიტერატურა 14

შესავალი

კაცობრიობის წარმოშობის დღიდან მუდმივად ვითარდება და იცვლება სამყარო. შესაბამისად იცვლება სამყაროში არსებული პროცესებიც. თუმცა, პრაქტიკულად იმ ადამიანურმა ღირებულებებმა და ფასეულობებმა, რომლებიც ყოველი ინდივიდისთვის იმანენტურია, თავდაპირველი სახე შეინარჩუნეს.[1] საკამათო არ უნდა იყოს ის შეხედულება, რომ საზოგადოებრივი სტაბიულურობისა და პროგრესული განვითარების სურვილი ცივილური სამყაროს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილება იყო ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე. საზოგადოებრივი სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი თავის მხრივ სწორედ წმინდა ადამიანური ურთიერთობების სწორი რეგულირება გახლავთ. თუმცა, ხშირად, მას შემდეგ , როდესაც, კომპრომისზე წასვლა პრაქტიკულად შეულძებელია და როდესაც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები ერთმანეთში იკვეთება, საქმეში ერთვება სამართლის ნორმები, და ურთიერთობის მომწესრიგებელი ,,მედიატორის'' როლში გამოდის სახელმწიფო თავისი სამართლებრივი აპარატითა და მექანიზმებით.

ინტერესთა კონფლიქტი[2] მრავალი სახის არსებობს და შესაბამისად მისი რეგულირების გზებიც მრავალფეროვანია. ინტერესთა კონფლიქტი, როგორც სოციალური ინსტიტუცია სამართალში დარგობრივად იყოფა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია მისი სახე და მოწესრიგების მეთოდები. პირობითად, თუ სისხლის სამართალში დანაშაული, როგორც სოციალური უმართლობა ,,კონფლიქტში'' მოდის ინდივიდუალური ან/და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის უსაფრთხოებასთან, სამოქალაქო სამართალში ინტერესთა კონფლიქტი

[1] თანამედროვე რეალობში ისინი კოდიფიცირებული სახით არის წარმოდგენილი.(მაგ: ადმიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წელი).

[2] იგულისხმება ფართო გაგებით, ესე იგი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გადაკვეთა.

მხოლოდ ინდივიდუალური სამართლებრივ სიკეთეებსა და შესაბამისად კერძო პირებს შორის არსებობს.[3] როგორც უკვე აღინიშნა, ინტერესთა კონფლიქტს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატვის კონკრეტული ფორმა გააჩნია. ჩვენ ყურადღებას ამჯერად შევაჯერებთ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტზე, დელიქტურ ვალდებულებებზე და შევაფასებთ მის სპეციფიკურ მახასიათებლებს.

დელიქტური ვალდებულების ცნება და არსი

როგორც ნაშრომის შესავალში აღინიშნა საზოგადოებრივი ურთიერთობების სტაბილურობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარებისათვის. შესაბამისად, საჯარო ხელისუფლებამ, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივმა გარანტმა მუდმივად უნდა უზრუველყოს, რომ ყოველი ინდივიდი აღდგენილი იყოს თავის უფლებებში.[4]

ზიანი როგორც სამართლებრივი კატეგორია სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ინსტიტუციაა, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს კერძო სამართლის წარმოშობისა და გნვითარების უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს. თავად ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმაა. ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დადგენილია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა სანქციების სახით. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყოველგვარი სანქცია, რომელსაც კანონი ადგენს ვალდებულების დარღვევისთვის, არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ისეთი სანქციები წარმოადგენენ,

[3] მათ შორის იგულისხმება სსიპ-ები, ვინაიდან თუ ინტერესი საჯაროა, მაშინ ურთიერთობა სცილდება კერძო სამართლის ფარგლებს და წარმოადგენს საჯარო სამართლის რეგულირების სფეროს.
[4] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 წელი, მუხლი #8.

რომლებიც ითვალისწინებენ ვალდებულების დამრღვევი პირისთვის იმის ზემოთ, დამატებითი მოქმედებათა შესრულების დაკისრებას.[5] ცხადია, ზიანი როგორც, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ,,შედეგი'' ვალდებულებითი სამართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ე.წ არასახელშეკრულებო ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანი, რომელსაც ასევე იცნობს ქართული კანონმდებლობა და რომელიც ასევე ვალდებულებითი სამართლის რეგულირების სფეროშია.(მაგალითად უსაფუძვლო გამდიდრება; დელიქტური ვალდებულებები).

დელიქტური ვალდებულება, როგორც არასახელშეკრულებო ზიანის ერთ-ერთი სახე კერძო სამართლის უძველესი ინსტიტუტია და ის ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს სათავეს.

დელიქტი ისეთი აკრძალული ქმედება იყო, რომელიც ვალდებულების წარმოშობას იწვევდა. ყოველგვარი დელიქტი გულისხმობდა: ა) მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას (და არა მარტივ წინდაუხედაობას); მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა შეიცავდეს, ზოგადი წესით, dolus (ფარული, ბოროტი განზრახვა), ხოლო ერთ შემთხვევაში (damnum iniuria damnum) – culpa-ს (გაუფრთხილებლობა, გაუფრთხილებელი ბრალი, გაუფრთხილებელი გადაცდომა); დელიქტუნარიანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ შერაცხადი პირი; ბ) delictum რაიმე ადამიანური სიკეთის ხელყოფას ან დაზიანებას გულისხმობდა (სხეული, თავისუფლება, ქონება, პატივი და ღირსება).

delictum , როგორც კერძო ხასიათის სამართალდარღვევა, დაზარალებულის მხარეზე ორგვარი ხასიათის ინტერესს წარმოშობდა: ზიანის მიმყენებლის დასჯის სურვილსა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, ex delicto-დან კრედიტორი ფლობდა ორ მოთხოვნას, რომლებიც, კუმულაციურად, ორი ტიპის სარჩელებით იყო დაცული: საჯარიმო სარჩელით (actio poenalis) და

[5] ზ. ახვლედიანი.; ვალდებულებითი სამართალი, თბილისი 1999 წელი, გვ.64.

არასაჯარიმო სარჩელით (action rei persucutoria), რომლის მეშვეობით ხდებოდა ქონერბრივი ინტერესის დაკმაყოფილება.[6]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი იძლევა დელიქტური ვალდებულების ლეგალურ დეფინიციას:

მუხლი 992.

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.[7]

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ არის მხარდაჭერილი იდეა, რომ ,,ზიანი'' ეს არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება. [8] როგორც უკვე აღინიშნა ზიანი შეიძლება წარმოიშვას, ერთი მხრივ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შერულებით, მეორე მხრივ კი, იმ შემთხვევაში როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში. ,,არასახელშეკრულებო'' ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან (delictum), ამიტომ მას ხშირად დელიქტურ ვალდებულებას უწოდებენ. როგორც საკანონმდებლო დეფინიცია განსაზღვრავს, დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია პირის მოქმედება დეტერმინებული იყოს განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. თუმცა კანონმდებლობა ითვალისწინებს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებსაც, მაგ: უკიდურესი აუცილებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა ის ვალდებულებები, რომლებიც არასახელშეკრულებო ურთიერთობის შედეგად არის წარმოშობილი დამოუკიდებელი თავის სახით არის წარმოდგენილი სამოქალაქო კოდექსში, შესაბამისად, მიგვაჩნია რომ მართებული

[6] მ.გარიშვილი, მ. ხოფერია.; რომის სამართლის საფუძვლები, ლექციების კურსი, თბილსი 2007 წელი, გვ.171.
[7] საქართველოს სამქოალაქო კოდექსი 1997 წელი, 2013 წლის 14 მაისის მდგომარეობით.
[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001 წელი, წიგნი IV , ტომი II, გვ.378.

იქნება თუ მუხლობრივად განვიხილავთ ამ თავის ცალკეულ ჩვენი მოსაზრებით პრობლემურ ნორმებს.

დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტის მარეგულირებელი ხარვეზული ნორმები

მოქმედებითა და უმოქმედობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

როგორც უკვე აღინიშნა სამოქალაქო სამართალში ზიანის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის დიფერენცირება 2 კატეგორიად ხდება, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანის სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე კარის პირველი თავი სწორედ არასახელშეკრულებო, ე.წ დელიქტური ვალდებულების მარეგულირებელ ნორმებს აწესებს. დელიქტური ვალდებულების ლეგალური ცნება რომელსაც სსკ-ის 992 მუხლი ადგენს ერთი შეხედვით სრულად ასახავს ყველა იმ სამართლებრივ შემთხვევას, როდესაც პირის პასუხისმგებლობის საკითხი სწორედ ამ თავიდან გამომდინარე უნდა დაწესდეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველივე მუხლში ვაწყდებით ტერმინოლოგიურ ,,ხარვეზს'', როდესაც აღნიშნულია, რომ დელიქტი სახეზეა, მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედების შემთხვევაში. ქართულ ენათმეცნიერებაში სიტყვა მოქმედება, მხოლოდ აქტიური ქმედების განხორციელებას გულისხმობს. თუმცა, რეალურად ზიანის მიყენება შესაძლებელია როგორც მოქმედებით (აქტიური ქმედებით) ასევე უმოქმედობითაც. შესაბამისად, ალბათ უფრო მართებული იქნებოდა თუ კანონმდებელი ტერმინოლოგიური სრულყოფის თვალსაზრისით სიტყვა მოქმედების ნაცვალდ გამოიყენებდა სიტყვა ქმედებას. [9] ქართული სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, სადაც დელიქტური ვალდებულების ცნება ძალიან ზოგადი და გარკვულწილად ,, ბუნდოვანიც'' არის, გერმანულ სამოქალაქო

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001 წელი, წიგნი IV , ტომი II, გვ.380.

კოდექსში დელიქტური ვალდებულების ,,იდეა'' მაქსიმალურად სრულყოფილად არის გადმოცემული.

§823. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება[10]

(1) პირი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზარალი.

(2) ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, ვინც არღვევს კანონს, რომელიც მიმართულია სხვა პირის ინტერესების დაცვისაკენ. თუ კანონის შინაარსის თანახმად მისი დარღვევა შესაძლებელია ასევე ბრალის გარეშეც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ ბრალის არსებობისას.

ქართულმა პრაქტიკამ დელიქტის ცნების განსაზღვრისას როგორც ჩანს უფრო მეტად ჰოლანდიური პრაქტიკა გაიზიარა. ჰოლანდიურ სამოქალაქო კოდექსში ზოგადი წესის განმარტებას 6:162 მუხლის 1-ლ ნაწილში ვხვდებით. ამ მუხლის თანახმად:

„პიროვნებას, რომლის მიმართ ჩაიდინეს უკანონო ქმედება, შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.''[11]

უკიდურესი აუცილებლობა

ასევე უნდა აღინიშნოს რომ ქართული კერძო სამართალი იცნობს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს.(მაგ: უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანი). სსკ-ის 117-ე მუხლის თანახმად, უკიდურესი აუცილებლობა ეს გახლავთ:

[10] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით.
[11] ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი, 2013 წლის 14 მაისის მდგომარეობით.

1. იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა (უკიდურესი აუცილებლობა).

2. იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც.

სისხლის სამართლისგან განსხვავებით, სადაც გამორიცხულია პასუხისმგებლობა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედების დრო, სამოქალაქო სამართალში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმ პირს, რომელიც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. როგორც მეცნიერები განმარტავენ,საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტისას კანონი ითვალისწინებს იმას, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს ინტერესების დაცვა, რომელსაც საფრთხე ემუქრება, მიიღწევა იმ პირის ინტერესების შელახვის ხარჯზე, რომელსაც არ შეუქმნია საფრთხე.ა მიტომ, არ იქნებოდა სამართლიანი ასეთი პირისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წართმევა.

სავსებით სამართლიანია საკითხის ამგვარად შეფასება, თუმცა მეცნიერებს ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი გამორჩათ მხედველობიდან: უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფმა პირმა შესაძლებელია საკუთარი ინტერესის დაცვის მიზნით საფრთხე მიაყენოს არა მხოლოდ იმ პირს ან მის სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც არანაირი საფრთხე არ შეუქმნია, არამედ უშუალოდ იმ პირს ან მის სამართლებრივ სიკეთეს რომლის ,,ბრალეულობითაც'' დამზიანებელი იმყოფება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. მოცემულ შემთხვევებში კი უნდა დაისვას საკითხი, დაეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა დამზიანებელს ? ამ

გარემოების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის ვერ მივმართავთ გენერალური დელიქტების თავში ე.წ დაზარალებულის სუბსიდრებული ბრალეულობით გამოწვეული ზიანის მარეგულირებელ ნორმებს, ვინაიდან იქ საუბარია ,,თანაბრალეულობაზე''. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 117-ე მუხლის მეორე ნაწილი ერთი შეხედვით სწორედ მსგავსი შემთხვევების ადეკვატური რეგულირებისთვის არის განსაზღვრული, როდესაც მოსამართლეს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს დამზიანებელი პასუხისმგებლობისგან, მიგვაჩინია რომ საკითხი უფრო მეტ დეტალიზაციას საჭიროებს.[12] ჩენი სუბიექტური მოსაზრებით ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც დისკრეციული უფლებამისილების მინიჭება სრულად ვერ უზრუნველყოფს პირის უფლებებში აღდგენას და აუცილებელია რომ მართლზომიერად მოქმედი პირის უფლებები უფრო მაღალი ხარისხით იყოს დაცული, და რომ ამას თავად კანონი უზრუნველყოფდეს. უკიდურესი აუცილებლობის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის მეტად საინტერესო კვლევას გვთავაზობს პროფესორი მერაბ ტურავა. ამ ინსტიტუტზე მსჯელობისას მან ქართულ სისლის სამართალში შემოიღო ე.წ დეფენზიური(დავდაცვითი) და აგრესიული (თავდასხმითი) უკიდურესი აუცილებლობის ცნება.[13] თავდაცვითია ისეთი უკიდურესი აუცილებლობა, როდესაც ამ მდგომარეობაში მყოფი პირი ზიანს აყენებს არა მესამე ძალას, არამედ თვით საფრთხის წყაროს (ხელმყოფს).[14] ხოლო თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობის დროს ზიანი ადგება მესამე პირს, რომელიც არანაირ შემხებლობაში არ იყო ,,შემთხვევასთან''. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული საკითხები მეცნიერულ კატეგორიას წარმოადგენენ, ვთვლით, რომ, ურიგო არ იქნებოდა, თუ ე.წ თავდაცვითი და თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობა რეგლამენტირებული სახით იქნებოდა წარმოდგენილი და თუ თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში პირი სრულად

[12] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი, თბილისი 2002 წელი, გვ. 302-303.
[13] მ.ტურავა.; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი 2012 წელი, გვ.205.
[14] იქვე: გვ.206.

გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან, მით უმეტეს ეს უცხო პრაქტიკა არ გახვლავთ ევროპული სამართლისთვის. მაგალითად გერმანიის სამოქალაქო კოდექსი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის სწორედ ამგვარ დიფერენციერებას ახდენს . [15]

ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

სსკ-ი ითვალისწინებს ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის მისი მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხს და განსაზღვრავს, რომ :

ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად.

ქართული კოდექსისგან განსხვავებით საკითხს უფრო ამომწურავად არეგულირებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი და ადგენს:

§833. ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა

თუ ადამიანი მოკლულ იქნა ცხოველის მიერ, ან, თუ ადამიანის სხეულს ჯანმრთელობას ან და ნივთს მიადგა ზიანი ცხოველის მიერ, მაშინ ცხოველის მფლობელი ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს ამის შედეგად მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ ზიანი მიყენებული იქნა შინაური ცხოველის მიერ, რომელიც განკუთვნილია ცხოველის მფლობელის პროფესიული, სამეწარმეო საქმიანობისა თუ რჩენისთვის.და ეს

[15] უკიდურესი აუცილებლობის ინსტიტუტთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ არსებობს უზენაესი სასამარ

უკანასკნელი იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ზრუნვას ან და ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც.[16]

§834 ცხოველის ზედამხედველის პასუხისმგებლობა

თუ პირი, ვინც ხელშეკრულებით ცხოველის მფლობელის მიმართ კისრულობს ცხოველზე ზედამხედველობის განხორციელებას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ცხოველი აყენებს §833 აღნიშნული ფორმით მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არდგება, თუ იგი ზედამხედველობის განხორციელებისას იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ზრუნვას ან ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც კი.

ქართული სამოქალაქო კოდექსი მფლობელის ცნებაში მოიაზრებს, როგორც ცხოველის მესაკუთრეს, ასევე ფაქტობრივი მფლობელობის განხორციელებისას ცხოველის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირს. თუმცა მთავარი პრობლემური საკითხი დგება ე.წ ქუჩის ძაღლებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი მუნიციპალური სამსახურები უზრუნველყოფენ ასეთი ძაღლების საზოგადოებისგან იზოლირებას, თბილისის შესახებ საქართველოს კანონში ცალსახად არ არსებობს დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ძაღლების მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა, ქალაქის მუნიციპალიტეტს ეკისრება.[17] შესაბამისად ისმის კითხვა თუ ვინ არის პასუხისმგებელი უპატრონო ე.წ ქუჩის ცხოველების მიერ მიყენებული ზიანზე? ხომ არ იხსნის სახელმწიფო ხელოვნურად პასუხისმგებლობას? უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა, რომ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობის საკითხი სამოქალაქო კოდექსში რეგლამენტირებულად განსაზღვრულიყო?!

[16] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით.
[17] საქართველოს კანონი თბილისის შესახებ, 1998 წელი (2013 წლის 14 მაისის მდგომარეობით).

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხები თავიანთი აქტუალობიდან გამომდინარე ნამდვილად იმსახურებენ საზოგადოების მეტ ყურადღებას. ერთი შეხედვით წარმოდგენილ კვლევაში განხილული თემები მხოლოდ თეორიული კატეგორიებია, თუმცა მათი რეალური მნიშვნელობა კარგად ჩანს ყოველდღიურ რუტინულ პირობებში და იმ მეტად ,,რთულ'' პრაქტიკაში რომელიც დღეს თანამედროვე რეალობაში არსებობს.

საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა ყოველთვის სამართლებრივი სისტემის სრულყოფისკენ არის მიმართული. არსებობს მეცნიერებაში საკითხები, რომლებიც თეორეტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, თუმცა სალსახაა, რომ ნაშრომში წარმოდგენილი საკითხები ცალსახად პრობლემურია და ისინი დაუყოვნებლივ საჭიროებენ აღმოფხვრას.

გერმანული პრაქტიკის კონსტატირება კარგი შესაძლებლობა იყო იმისათვის, რომ უფრო უკეთ შედარებულიყო ქართული გამოცდილება ევროპულთან. ამ შედარებითმა ანალიზმა კი ცალკეულ შემთხვევებში ნათლად გამოკვეთა ის ,,ხარვეზული საკითხები'' რომლებიც დახვეწას საჭიროებენ. ვიმედოვნებ საკითხი კანონმდებლების ყურადღების მიღმა არ დარჩება და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება მათ აღმოსაფხვრელად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 წელი.
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით.
3. ზ. ახვლედიანი.; ვალდებულებითი სამართალი, თბილისი 1999 წელი.
4. მ.გარიშვილი, მ. ხოფერია.; რომის სამართლის საფუძვლები, ლექციების კურსი, თბილსი 2007 წელი.
5. მ.ტურავა.; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი 2012 წელი.
6. საქართველოს კანონი თბილისის შესახებ, 1998 წელი (2013 წლის 14 მაისის მდგომარეობით).
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი, თბილისი 2002 წელი.
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001 წელი, წიგნი IV , ტომი II .
9. საქართველოს სამქოალაქო კოდექსი 1997 წელი, 2013 წლის 14 მაისის მდგომარეობით.
10. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი, 2013 წლის 14 მაისის მდგომარეობით.